

სკოლა _____ კლასი _____

სახელი _____ გვარი _____

ტელეფონი _____

ამოცანა 1: ყვავილების ბაღში

ბაღში ყვავის 18 ცალი ვარდი და 20 ცალი მიხაკი. გოგონამ მონყვიტა მათგან სულ 19 ცალი ყვავილი. შეგვიძლია თუ არა დაბეჭითებით ვთქვათ, რომ:

- ა) გოგონას მონყვეტილ ყვავილებს შორის აუცილებლად იქნება ერთი მაინც ვარდი;
- ბ) გოგონას მონყვეტილ ყვავილებს შორის აუცილებლად იქნება ერთი მაინც მიხაკი; (პასუხი დაასაბუთეთ).

ამოხსნა

ა) დაბეჭითებით ვერ ვიტყვით, რომ გოგონას მონყვეტილ ყვავილებს შორის აუცილებლად იქნება ერთი მაინც ვარდი, ვინაიდან შესაძლებელია, რომ ცხრამეტივე მონყვეტილი ყვავილი იყოს მიხაკი;

ბ) შეგვიძლია დაბეჭითებით ვთქვათ, რომ გოგონას მონყვეტილ ყვავილებს შორის აუცილებლად იქნება ერთი მაინც მიხაკი, ვინაიდან ცხრამეტივე ვარდი ვერ იქნება, რადგან ვარდების რაოდენობა იყო სულ 18 ცალი.

შეფასება:

2 ქულა - როცა ორივე პასუხი სწორია და დასაბუთებაც სრულყოფილი

1 ქულა - როცა ორივე სწორი პასუხი მოცემულია დასაბუთების გარეშე

0 ქულა - დანარჩენ შემთხვევაში

ამოცანა 2: რა დღეა?

ეს დღე არ მოსდევს ორშაბათს და არც ხუთშაბათის წინა დღეა; ხვალ კი კვირა არ არის და არც გუშინ ყოფილა კვირა; ზეგ არ იქნება შაბათი და არც გუშინწინ იყო ოთხშაბათი.

რა დღეა ეს დღე? (პასუხი დაასაბუთეთ).

ამოხსნა

პირველი წინადადება გვეუბნება, რომ ეს დღე არ არის სამშაბათი და არც ოთხშაბათი; მეორე წინადადება გვეუბნება, რომ ეს დღე არ არის შაბათი და არც ორშაბათია; მესამე წინადადებიდან კი გამოდის, რომ ეს დღე არ არის ხუთშაბათი და არც პარასკევია.

რჩება ერთადერთი ვარიანტი - ეს დღე კვირაა.

პასუხი: ეს დღე კვირაა.

შეფასება:

2 ქულა - როცა პასუხი სწორია და დასაბუთებაც სრულყოფილი

1 ქულა - როცა პასუხი სწორია და დასაბუთება არასრულყოფილი

0 ქულა - დანარჩენ შემთხვევაში

ამოცანა 3: ფანქრები კოლოფებში

კოლოფში 6 წითელი და 10 ლურჯი ფანქარია. კოლოფში ჩაუხედავად სულ ცოტა რამდენი ფანქარი უნდა ამოვიღოთ, რომ მათ შორის აუცილებლად იყოს:

ა) 2 წითელი ფანქარი;

ბ) 5 ლურჯი ფანქარი;

გ) 3 წითელი და 3 ლურჯი;

დ) ერთი ფერის 3 ფანქარი

ამოხსნა

ა) 12 ფანქარი

ბ) 11 ფანქარი

გ) 13 ფანქარი

დ) 5 ფანქარი

შეფასება

2 ქულა - როცა ოთხივე პასუხი სწორია

1 ქულა - როცა ორი მაინც პასუხი სწორია და ყველა სწორი არ არის

0 ქულა - დანარჩენ შემთხვევაში

ამოცანა 4: მაღაზიაში

მაღაზიაში ლურსმანი ექვს სხვადასხვა ყუთში ეწყო. ყუთები იწონიდა 6, 7, 8, 9, 10, და 11 კგ-ს. ხუთი ყუთი ლურსმანი ორმა ადამიანმა იყიდა, თანაც მყიდველებს ერთი და იმავე რაოდენობის ლურსმანი შეხვდა.

რომელი ყუთი დარჩენილა მარკეტში? (პასუხი დაასაბუთეთ).

ამოხსნა

მოცემული 6 ყუთიდან უნდა ამოვარჩიოთ ისეთი 5, რომელთა ორ ნაწილად დაჯგუფებისას ტოლ რაოდენობებს მივიღებთ. მარტივი გადარჩევით ასეთი ყუთებია $10+11=6+7+8$.

აქედან ვასკვნით, რომ მაღაზიაში დარჩენილა 9 კგ-იანი ყუთი.

პასუხი: 9 კგ-იანი ყუთი.

შეფასება

2 ქულა - როცა პასუხი სწორია და დასაბუთებაც სრულყოფილი

1 ქულა - როცა პასუხი სწორია და დასაბუთება არასრულყოფილი

0 ქულა - დანარჩენ შემთხვევაში

ამოცანა 5: სამი ძმა

სამი ძმა სხვადასხვა პროფესიისაა. ერთი მათგანი არქიტექტორია, მეორე - ფერმერი, მესამე კი მძღოლი. ქვემოთმოცემული სამი წინადადებიდან მხოლოდ ერთია ჭეშმარიტი:

- ალექსი არქიტექტორია;
- ბიძინა არქიტექტორი არ არის;
- შალვა მძღოლი არ არის.

რომელი ძმა რა პროფესიისაა? (პასუხი დაასაბუთეთ).

ამოხსნა

პირველი წინადადება ჭეშმარიტი ვერ იქნება იმიტომ, რომ მაშინ ჭეშმარიტი გამოდის მეორეც, რაც არ შეიძლება.

ვთქვათ მეორე წინადადებაა მართალი, მაშინ გამოდის, რომ შალვა მძღოლია და არც ალექსი და არც ბიძინა არქიტექტორი არ არის, რაც ასევე შეუძლებელია, ვინაიდან ორივე ფერმერი ვერ იქნება.

რჩება ერთადერთი ვარიანტი - ჭეშმარიტია მესამე წინადადება, ხოლო პირველი ორი მცდარია. აქედან გამოდის, რომ:

ბიძინა არქიტექტორია;

შალვა, რაკი არც მძღოლია და არც არქიტექტორი - არის ფერმერი;

ალექსი მძღოლია.

პასუხი:

ბიძინა არის არქიტექტორი;

შალვა არის ფერმერი;

ალექსი არის მძღოლი.

შეფასება:

2 ქულა - როცა პასუხი სწორია და დასაბუთებაც სრულყოფილი

1 ქულა - როცა სწორი პასუხი მოცემულია დასაბუთების გარეშე

0 ქულა - დანარჩენ შემთხვევაში